

რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზება ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, - ასეთი სათაურით აქვეყნებს "თავისუფალი დემოკრატების" ლიდერთან ირაკლი ალასანიასთან ინტერვიუს გამოცემა - Мир и политика.

როგორც ალასანიამ ინტერვიუში აღნიშნა, რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, არსებულ ვითარებაში უნდა მოიძებნოს შეხების ახალი წერტილები და ასეთი წერტილები ამ დროისთვის უკვე არის ეკონომიკა და კულტურა.

"ნდობის აღდგენის მინიმალური დონის შემდეგ შესაძლებელია საუბარი რაიმე სახის გარღვევაზე პოლიტიკაში. თუმცა, ვფიქრობ, უახლოეს პერიოდში ჩვენს ქვეყნებს შორის პოლიტიკურ ურთიერთობებში ასეთი პროგრესი არ იქნება. კონცენტრირება უნდა მოვახდინოთ საქართველოს ტრანზიტულ მიმზიდველობაზე, ეკონომიკურ ურთიერთობებზე და ეს უფრო ინტენსიური უნდა გახდეს. ამასთან, რუსეთთან ყოველთვის უნდა იყოს საუბარი აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დეოკუპაციაზე", - განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

"თავისუფალი დემოკრატების" ლიდერ სჯერა, რომ დროთა განმავლობაში რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზება მოხდება, თუნდაც წლების შემდეგ.

"დღეს ჩვენა ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ არ გავიმეოროთ დაპირისპრება, განსაკუთრებით - საომარი", - განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

ამასთან, როგორც გამოცემა წერს, ირაკლი ალასანია და მისი პარტია "თავისუფალი დემოკრატები" საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი წლით ადრე რეიტინგის ზრდის დემონსტრირებას ახდენენ. სტატის ავტორი წერს, რომ გასულ წელს "თავისუფალმა" დემოკრატებმა მმართველი კოალიცია "ქართული ოცნება" დატოვეს, რომელიც მილიარდერმა ბიძინა ივანიშვილმა დააფუძნა.

"სკანდალი მას შემდეგ აგორდა, რაც თბილისში ეჭვქვეშ დასვეს მოლაპარაკებები, რომელსაც მაშინდელი თავდაცვის მინისტრი, ირაკლი ალასანია პარიზში საჰაერო თავდაცვითი სისტემების მიწოდების თაობაზე. ამას დაემთხვა თავდაცვის სამინისტროს ხუთი მაღალჩინოსნის დაკავება", - წერს ინტერვიუს ავტორი.

ირაკლი ალასანიას განცხადებით, საფრანგეთთან შეთანხმებაში ისეთი არაფერია, რასაც შეეძლო რუსეთის შეშფოთება გამოეწვია. ალასანიამ ვრცლად ისაუბრა თავდაცვითი საჰაერო სისტემების შესახებ ფრანგულ მხარესთან მოლაპარაკებებზე.

როგორც მან აღნიშნა, საქართველოს მთავარი ამოცანაა უზრუნველყოს უკვე კარგად გაწვრთნილი და პროფესიონალური ქართული ჯარი რაც შეიძლება უფრო ეფექტური შეირაღებით.

"ხაზს ვუსვამ, საუბარია თავდაცვით შეიარაღებაზე. "ქართულმა ოცნებამ" დაიწყო ამ საკითხზე მუშაობა, როგორც კი მოვიდა ხელისუფლებაში 2012 წელს. ჩვენ გავანალიზეთ ქართული არმიის მონაწილეობა ყველა კონფლიქტში, დაწყებული 90-იანი წლებიდან. დასკვნები, პირველ რიგში საუბრობდნენ საჰაერო თავდაცვითი სისტემების პოტენციალის გაზრდის აუცილებლობაზე. ამის შემდეგ ჩვენ დავიწყეთ პარტნიორ ქვეყნებთან მოლაპარაკებები. საფრანგეთი აღმოჩნდა იმ ქვეყნებს შორის, რომლებმაც ამ შესაძლებლობების ბაზარი გაგვიხსნეს", - განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

მისივე თქმით, კონსულტაციები ფრანგულ მხარესთან დაახლოებით 1 წლის განმავლობაში გრძელდებოდა.

როგორც ირაკლი ალასანიამ აღნიშნა, მემორანდუმს ხელი 2014 წლის 28 ოქტომბერს მოეწერა, თუმცა იმ მომენტში ბიძინა ივანიშვილთან პოზიციების შეთანხმება ვერ მოხდა და შეთანხმება პრაქტიკულად ჩაიშალა.

"იმ დროისთვის იყო რამოდენიმე მიზეზი. მათ შორის ვერ გაგება იმის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება მისი სტაბილური ეკონომიკური განვითარებისთვის. ეფექტური საჰაერო თავდაცვითი სისტემები მეტი შესაძლებლობაა ნატო-სკენ გზაზე. ჩვენი არმია უკვე თანხვედრაშია ნატო-ს სტანდარტებთან, ხოლო თუ ასეთი საჰაერო თავდაცვითი სისტემები გვექნება, ინტეგრაცია შესაძლოა მოხდეს უფრო სწრაფად. ჩვენ გავხდებით უფრო კონკურენტუნარიანი ამ მიმართულებით რეგიონში. გარდა ამისა, გამორიცხული არ არის საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო რაღაც სიგნალი მოსკოვიდან, რომელიც შეაფასეს როგორც საფრთხე ჩვენი სამხედრო პოტენციალის გაზრდის შემთხვევაში. თუმცა, კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს: ფრანგებთან ამ შეთანხმებაში ისეთი არაფერია, რასაც შეეძლო რუსეთის შემფოთება გამოეწვია", - აღნიშნა ირაკლი ალასანიამ.

"თავისუფალი დემოკრატიების" ლიდერმა პანკისის ხეობიდან სირიაში საქართველოს მოქალაქეების გამგზავრების შესახებ დასმულ შეკითხვასაც უპასუხა. როგორც ალასანიამ აღნიშნა, "ისლამური სახელმწიფო" მთელი დემოკრატიული სამყაროს პრობლემაა.

"რაც შეეხება უშუალოდ პანკისს, საქართველომ უნდა გააქტიუროს დაზვერვითი და კონტრტერორისტული ქმედებები რეგიონალურ პარტნიორებთან კოორდინაციაში, მაქსიმალურად უნდა გაკონტროლდეს ხეობიდან სირიაში გამგზავრება, ასევე უნდა დაამარცხოს ადგილზე სოციალურ-ეკონომიკური დეპრესია. ეს სამწუხაროდ გახდა საუკეთესო ნიადაგი პანკისში ისლამისტი ფუნდამენტალისტებისთვის", - აღნიშნა ირაკლი ალასანიამ.

მან ინტერვიუში მომავალი წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებითაც ისაუბრა. იგი მიიჩნევს, რომ მისი პარტია 2016 წელს დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვებს. კითხვაზე, როგორი იქნება კონფიგურაცია ქართულ პოლიტიკაში მომავალი წლის

საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ირაკლი ალასანია ფიქრობს, რომ მისი პარტია გამარჯვებს და ასევე შეძლებს მთავრობის ფორმირებას.

"ჩვენ არჩევნებში მონაწილეობას მივიღებთ დამოუკიდებლად, თუმცა მომავალში ვითანამშრომლებთ საღად მოაზროვნე ადამიანებთან, მათ შორის "ქართული ოცნებიდან", "ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან" და სხვა პოლიტიკური ძალებიდან. რატომ მჯერა ჩვენი წარმატების? 40%-მდე ამომრჩეველს ჯერ ჩამოყალიბებული არ აქვს ვის მისცემს ხმას. ეს სეგმენტი ელოდება ივანიშვილის და სააკაშვილის ალტერნატივას. საზოგადოებისთვის მათი მმართველობის სტილი მიუღებელია. სწორედ ჩვენ ვართ ასეთი ალტერნატივა", - განაცხადა ირაკლი ალასანიამ და აღნიშნა, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ისინი შეძლებენ გააერთიანონ ყველა პროდასავლური, პროგრესული ძალა.

რაც შეეხება კითხვას, რას ფიქრობს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკურ აქტივობაზე უკრაინაში და რა შეუძლია სააკაშვილს ამ ქვეყანას გაუკეთოს, ირაკლი ალასანიამ აღნიშნა, რომ მიხეილ სააკაშვილზე ფიქრი მას შემდეგ შეწყვიტა, რაც ის 2012 წლის არჩევნებში დაამარცხეს.

"ვფიქრობ, საქართველოში მას და მის მოძრაობას რეაბილიტაციის საშუალება აღარ ექნება. ჩვენს საზოგადოებას არ დავიწყებია მისი მტკივნეული რეპრესიები. ამავე დროს, ჩვენ არ შეგვიძლია ვინმეს ავუკრძალოთ მიიღოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები, მათ შორის სააკაშვილის მიწვევასთან დაკავშირებით. უკრაინა არის ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი, ჩვენ მას მთელი გულით ვგულშემმატკივრობთ და ვუსურვებთ წარმატებებს", - განაცხადა ირაკლი ალასანიამ. მისივე თქმით, სააკაშვილი იქ არაფერ კარგს არ გააკეთებს.